საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

17/06/2022
N 09-02-16/360

360-09-02-16-2-202206171219

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს

ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს

სადეპუტატო კითხვა

ბატონო ჯაბა,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, სადაც თქვენ წარმოადგინეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ანგარიში, აღნიშნეთ, რომ სამრეწველო ზონაში მიმდინარეობს 27 საინვესტიციო პროექტი, სადაც დასაქმდებოდა 1300 ადამიანი. რამდენიმე დღით ადრე აჭარის ა.რ მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მიმდინარეობს 25 საინვესტიციო პროექტი და დასაქმდება 1500 ადამიანი.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ:

1. უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი ანგარიში, წერილობითი ფორმით;
2. დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოთა რაოდენობისა და სამუშაო ადგილების შესახებ;
3. ინფორმაცია სამრეწველო ზონაში არსებულ საწარმოებზე, თანდართული ცხრილის მიხედვით, უძრავი ქონების გასხვისების ხელშეკრულებებისა და მასში შეტანილი ცვლილებების დოკუმენტების ასლების გათვალისწინებით;

ასევე, მინდა შეგახსენოთ, თქვენ სხდომაზე მიპასუხეთ, რომ ხულო-ზარზმის გზის მშენებლობა მიმდინარეობდა 7 ლოკაციაზე და სხდომის დასრულებისთანავე მომაწვდიდით კონკრეტულ ლოკაციებს. სამწუხაროდ, აღნიშნული ინფორმაცია დღემდე არ მიმიღია. გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია იმ ლოკაციების შესახებ, სადაც მიმდინარეობს ხულო-ზარზმის გზის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

პატივისცემით,

გია აბულაძე

საბჭოს წევრი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები